



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა
დასკვნა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ¹



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნინო დოლიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თინათინ გაბრიჩიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2020

¹ შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	405115183
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ი. ჭავჭავაძის გამზირი N82, თბილისი 0162, საქართველო
ვებ-გვერდი	https://btu.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	07.11.2016, №27
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	07.11.2022

რაოდენობრივი მაჩვენებლები²

პროგრამები³

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	
მაგისტრატურა	
ერთსაფეხურიანი	
დოქტორანტურა	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	
ქართულ ენაში მომზადების	
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ⁴	
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა			
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			

² რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის შევსებული, ვინაიდან შესაფასებელ სტანდარტებთან მიმართებით არ იყო აღნიშნული ინფორმაცია რელევანტური

³ იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

⁴ იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3⁴⁸ პუნქტში

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- პროფესორი	
- ასოცირებული პროფესორი	
- ასისტენტ პროფესორი	
- ასისტენტი	
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- აფილირებული პროფესორი	
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტი	
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

შენიშვნა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ ცენტრში 2020 წლის 07 ივლისს წარმოდგენილი №575233 განცხადების და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ 2020 წლის 23 ივლისისა MO-02/02-124 (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი №635585; 27.07.2020) და 11 აგვისტოს MO-02/02-135 (ცენტრში რეგისტრაციის ნომერი №681369; 11.08.08) წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის ბრძანების №839699 თანახმად, ავტორიზაციის მე-2 და მე-5 სტანდარტებთან შეფასების მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი, რომელიც განხორციელდა დისტანციურად. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ ცენტრში წარმოდგენილ განცხადებაში სტუდენტი აღნიშნავს, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა გასულიყო სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, მის სამაგისტრო ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის 25%-იანი მაჩვენებლის გამო. ამასთან, მას მხოლოდ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა დაეკორექტირებინა საკუთარი ნაშრომი, მაშინ როდესაც სხვა სტუდენტებმა რამდენჯერმე განახორციელეს ნაშრომის შესწორება. განცხადებაში ასევე საუბარია პლაგიატთან დაკავშირებული საკითხებისა და აპელაციის წესის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერი მექანიზმების საკითხებზე. 2020 წლის 28 სექტემბერს ინტერვიუ დისტანციურად განხორციელდა როგორც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში შემოსული განცხადების ავტორთან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისგან გამოთხოვილ იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში სააპელაციო განაცხადის ავტორის სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით შეტვირთული ბრძანებების ამონაწერი. დამატებით გამოკვეთილი გარემოებების საფუძველზე კი დასკვნის პროექტის 2.1 და 5.1 სტანდარტების აღწერილობით ნაწილში შევიდა შესაბამისი ცვლილებები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის წარმოებასთან და სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებების შესახებ და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები. შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნა დასკვნა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- უზრუნველყავით, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შემოწმების შემდგომ რეაგირების ნაწილში მათი ფუნქციები პრაქტიკულად იქნეს მკაფიოდ გამიჯნული; ამასთანავე, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის მკაფიოდ იქნეს განმარტებული ფუნქცია-მოვალეობები მათ მიერ პლაგიატზე რეაგირებისა და გაკონტროლების ნაწილში;
- უზრუნველყავით, რომ უსდ-ში დადგენილი რეგულაციის შესაბამისად შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომზე ხელმძღვანელის საბოლოო დასაბუთებული დასკვნა და აღნიშნული დასკვნა ხელმისაწვდომი იყოს მაგისტრანტებისთვის (მათ შორის სააპელაციო განაცხადის ავტორი მაგისტრანტისთვის);

- უზრუნველყავით, რომ უსდ-ში დადგენილი რეგულაციის შესაბამისად შეიქმნას ნაშრომის შემსწავლელი კომისია და შესაბამის ოქმში დასაბუთებულ იქნას პლაგიატის გამოვლენის ფაქტი;
- უზრუნველყავით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში შესატანი ინფორმაციის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში ასახვა.
- დაადგინეთ გონივრული ლიმიტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა ერთდროულად რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს;
- უზრუნველყავით პლაგიატზე რეაგირების უკვე შემუშავებული შესაბამისი მექანიზმების პრაქტიკაში სრულად დანერგვა;
- უზრუნველყავით სტუდენტის სტატუსის ცვლილების დროს შიდა რეგულაციების, კანონმდებლობისა და სტუდენტის უფლებების დაცვა;
- სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატის დეტექციის პროგრამაზე შეფასებაზე წარდგენის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნაშრომის ხელახლა წარდგენის ვადას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტისთვის გონივრული ვადის მიცემა.
- რეკომენდებულია დაზუსტდეს რექტორის 2020 წლის 25 სექტემბრის №02-73 ბრძანებაში ჩანაწერი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევის თაობაზე. ვინაიდან სტუდენტს აქვს უფლება სტატუსი შეიჩეროს 5 წლის ვადით, პროგრამით სწავლის დადგენილ ვადაში კი არ შედის პერიოდი, როდესაც სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი, 2021-2022 წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობის ფაქტობრივი შედეგი - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია არ დადგეს (თუ სტუდენტი არ აღიდგენს სტატუსს და არ ისარგებლებს ორი დამატებითი სემესტრის შესაძლებლობით).
- მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ შესაბამის რეგულაციებში მკაფიოდ აღიწეროს და განმარტოს ნაშრომის ხელმძღვანელის როლი პლაგიატის დეტექციის პროგრამაზე ნაშრომის შეფასების შედეგების განხილვასა და მაგისტრანტის კონსულტირება/მხარდაჭერაში, რათა ხელმძღვანელის ჩართულობა შედეგების შინაარსობრივ განხილვასა თუ სტუდენტთა კონსულტაციაში მსგავსების არსებობის შემთხვევაში არ იყოს სტუდენტისა თუ ხელმძღვანელის სურვილზე დამოკიდებული.

რჩევები

- სასურველია გაიზარდოს ანტიპლაგიატის პროგრამის მომხმარებელთა რაოდენობა და მისი გამოყენება ხდებოდეს სტუდენტებისა და პერსონალის/ნაშრომის ხელმძღვანელების მიერ. საჭიროებისამებრ, სასურველია, არსებობდეს სპეციალიზებული ტექნიკური ჯგუფი, რომელიც დაეხმარება პერსონალს თუ სტუდენტებს პროგრამის გამოყენებაში;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსა და სამაგისტრო ნაშრომების შექმნის სახელმძღვანელოშიც ჩაიწეროს ინფორმაცია ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების შედეგად დაშვებული მსგავსებების პროცენტის ზღვრული ოდენობის შესახებ
- გააკონტროლეთ, რომ სამაგისტრო ნაშრომის ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმების შემდგომ მაგისტრანტისა და ხელმძღვანელის ერთობლივი მუშაობით მოხდეს შემოწმების შედეგის განხილვა;
- გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში მატერიალური სახით უნდა იქნეს წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი, სასურველია შეისწავლოთ სამაგისტრო ნაშრომების დაგვიანებით მიღების თაობაზე დასკვნაში გამოკვეთილი გარემოება და გაატაროთ შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები;
- ნაშრომების ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმების პროცესის ეფექტიანად მართვის მიზნით, სასურველია, ნაშრომების შემოწმების რეჟიმი გახდეს ავტომატური (მაგალითად, პლაგიატის ამოცნობის პროგრამის ინტეგრირება სწავლის მართვის სისტემაში....)
- სასურველია, სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, საკუთარი პოზიცია დაიცვას კომისიის, აკადემიური საბჭოს თუ სხვა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ზეპირ მოსმენაში, როდესაც განიხილება საკითხი მისი გადაცდომის შესახებ

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ქეთევან აფთარაშვილი (თავმჯდომარე)

2. ნინო დოლიძე

3. თინათინ გაბრიჩიძე.







უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე. სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები⁵; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩევა თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობისას). მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

⁵ ეს რეკომენდაციები შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ავტორიზაციის, სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის, საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და/ან ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებულ ბოლო შეფასებასთან.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩემა თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბტუ-ს მმართველ ორგანოებს წარმოადგენენ პარტნიორთა კრება, რექტორი, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო არის უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო წარმომადგენლობითი და რექტორის სათაბირო ორგანო, რომელიც შექმნილია ბტუ-ს საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სწორად და ეფექტურად წარმართვის მიზნით. საბჭოს თავმჯდომარე არის რექტორი, ხოლო წევრები - კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე არის დეკანი და ფაკულტეტის საბჭო აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისა და სტუდენტები წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ აკადემიური საბჭო განიხილავს საბაკალავრო, სამაგისტრო/სხვა კვლევითი ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, გაყალბების, ფალსიფიცირების ან მოდიფიცირების ფაქტებს; აკადემიური საბჭოს დებულების უფლებამოსილებების ნაწილში აღნიშნულია ისიც, რომ ქმნის ამ საკითხების (პლაგიატი, გაყალბება..) შემსწავლელ კომისიას, ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კი მიმართავს ბტუ-ს რექტორს დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით.

2020 წლის 7 ივლისს აკადემიურმა საბჭომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე განიხილა მაგისტრანტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი, რომელიც გაფორმდა შესაბამისი ოქმით (№04-06). ვინაიდან აკადემიური საბჭოს დებულებაში მითითებულია, რომ პლაგიატის ფაქტის შემსწავლელი კომისია იქმნება, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა მოცემულ შემთხვევაში შეიქმნა თუ არა პლაგიატის ფაქტის შემსწავლელი კომისია და ინტერვიუს დროს მიღებული განმარტებით, აკადემიური საბჭო მხოლოდ საჭიროებისამებრ ქმნის კომისიას, ხოლო მოცემულ შემთხვევაში რადგანაც პლაგიატის ფაქტი იყო ნათელი, არ გამოვლენილა საჭიროება კომისიის შემქმნის. თუმცა ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ როგორც აკადემიური საბჭოს დებულებაში, ასევე ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსში ნათლად არის აღნიშნული რომ პლაგიატის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ოპონენტის/სხვა წერილობით დასკვნაში და ნაშრომის შემსწავლელი კომისიის ოქმში უნდა იყოს მითითებული პლაგიატის ფაქტის დასაბუთება, დასკვნა კი უნდა ეცნობოს ნაშრომის ავტორს (5 სამუშაო დღის ვადაში აპელაციის უფლებით) და გადაეცეს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს (რექტორს). მოცემულ შემთხვევაში, აკადემიურმა საბჭომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე განიხილა პლაგიატის ფაქტი და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამაგისტრო ნაშრომი არ დაიშვა დაცვაზე (დაუფიქსირდა F შეფასება), მაგისტრანტს მიეცა გაფრთხილება და უფლება, რომ ახალი ნაშრომის მომზადება და წარდგენა მოხდეს მომდევნო სემესტრში. აკადემიური საბჭოს დებულების თანახმად, პლაგიატის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში აკადემიური საბჭო მიმართავს რექტორს დისციპლინური წარმოების დაწყების მიზნით, თუმცა აკადემიური საბჭოს ოქმში აღნიშნულია, რომ ვინაიდან მაგისტრანტი არ დაიშვება საჯარო დაცვაზე, ეს არის საკმარისი სანქცია და დამატებითი დისციპლინური წარმოების დაწყება არ იქნა საჭიროდ მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აკადემიურ საბჭოს წარუდგინა სამაგისტრო ნაშრომი, ბიბლიოთეკის და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების სამსახურეობრივი ბარათები. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სამსახურეობრივ ბარათში წარმოდგენილი ინფორმაცია თითქმის იდენტურია და საუბარია იმაზე, რომ „პლაგიატის მაჩვენებელი“ არის 25% და ვლინდება ციტირების წესის დარღვევა, წყაროს ტექსტში დამოწმების წესის დარღვევა, მიღებული სტანდარტით ციტირებული ტექსტის რაოდენობრივად გადაჭარბება. თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ფუნქცია ამ შემთხვევაში არის მხოლოდ ის, რომ ტექნიკურად ახდენს Turnitin პროგრამის ადმინისტრირებას, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ ხელმძღვანელი ვალდებულია მიაწოდოს სტუდენტს ინფორმაცია როგორ დაიცვან ციტირების წესი, თუმცა პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების ნაწილში არ ერთვებიან და სამსახურეობრივი ბარათით (რომელიც წარედგინა აკადემიურ საბჭოს) ნაშრომის ხელმძღვანელი ითხოვდა საკითხის შესწავლას. მაგისტრანტიც ადასტურებს, რომ Turnitin პროგრამაში ნაშრომის შემოწმების შემდგომ ხელმძღვანელთან ერთად არ განუხილავს შედეგი, რადგან მის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ ეს ხელმძღვანელის ფუნქციები არ იყო: ვინაიდან ხელმძღვანელის დასკვნა დადებითი იყო Turnitin პროგრამაში შემოწმებამდე და ხელმძღვანელთან კონსულტაციის დროს ყურადღება მახვილდებოდა შინაარსზე, ციტირების საკითხები კი მის ფუნქციებში არ შედიოდა და არც ადმინისტრაციას ჩაურთავს ხელმძღვანელი, შესაბამისად მაგისტრანტსაც არ მიუმართავს ხელმძღვანელისთვის.

ბტუ-ს აქვს შემუშავებული მაგისტრანტის ხელმძღვანელის ფუნქციები, რომლის თანახმადაც ხელმძღვანელი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს გააკონტროლოს პლაგიატიზმი, ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე აუხსნას წყაროებთან მუშაობის წესი, განუმარტოს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის არსი და მისი

დარღვევისთვის დაწესებული სანქციები. ამასთან, ეთიკისა და აკადემიური ეთიკის კოდექსის თანახმად, პლაგიატის შემთხვევის ფაქტების გამოვლენის პასუხისმგებლობა აკისრიათ სამაგისტრო/საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს და რეცენზენტებს და ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ნაშრომზე მუშაობის დასრულებამდე პერიოდულად შეამოწმოს ნაშრომი აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის გამოვლენის მიზნით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ანტიპლაგიატის პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომების უშუალოდ შემოწმება არ ხდება ხელმძღვანელების მიერ. კერძოდ, ანტიპლაგიატის პროგრამის მართვას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და შესაძლებელია ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმდეს ნაშრომი რამდენჯერმე, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის თანახმად, ნაშრომის შემოწმება შესაძლებელია დადგენილ ვადაში (მე-16-17 კვირას) და მას შემდეგ ხდება ნაშრომის ხელმძღვანელის ინფორმირება შემოწმების შედეგების შესახებ.

აქვე აღნიშნულია, რომ პლაგიატის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ოპონენტის/სხვა წერილობით დასკვნაში და ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წერილობით ოქმში უნდა იყოს მითითებული პლაგიატის ფაქტის დასაბუთება, დასკვნა უნდა ეცნობოს ნაშრომის ავტორს და გადაეცეს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს (რექტორს) (მუხლი 3, პუნქტი 4, 6); ნაშრომის ავტორთან ინტერვიუს დროს იკვეთება, რომ არ იცნობს ხელმძღვანელის დასაბუთებულ საბოლოო დასკვნას ნაშრომში პლაგიატის თაობაზე და არც ბტუ-ს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ ხელმძღვანელის საბოლოო დასკვნის გადაგზავნა/გაცნობა მომხდარიყოს. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრულია, რომ ანტიპლაგიატის სისტემაში ნაშრომის შემოწმების შემდგომ ხდება ხელმძღვანელის ინფორმირება შემოწმების შედეგების შესახებ და საბოლოო დასკვნა მზადდება ხელმძღვანელის მიერ ნაშრომის მიღებიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის ვადაში. სამაგისტრო ნაშრომი ანტიპლაგიატის სისტემაში შემოწმდა 11 ივნისს და მაგისტრანტს 15 ივნისს გაეგზავნა შეტყობინება, რომლის მიხედვითაც არაუგვიანეს 17 ივნისისა ეძლეოდა ვადა გასწორებული ნაშრომის გადაგზავნის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მტკიცებულების სახით უსდ-სგან გამოთხოვილ იქნა ხელმძღვანელის საბოლოო დასკვნა და ჯგუფისთვის მოწოდებულ იქნა ხელმძღვანელის წინასწარი დასკვნა (06.06.2020) და სამსახურეობრივი ბარათი, რომელიც შესრულებულია ნაშრომის ხელმძღვანელის - 18 ივნისს შემოწმების შემდგომ - 2020 წლის 25 ივნისს, ე.ი. 5 კალენდარული დღის ვადის დარღვევით. სამაგისტრო ნაშრომს ანტიპლაგიატის პროგრამაში ამოწმებს მხოლოდ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და ამასთანავე, შემჭიდროებული ვადებიდან გამომდინარე, მისი დატვირთვა დიდია და შემოწმების შედეგების თაობაზე მაგისტრანტის ინფორმირებაც დროს მოითხოვს.

ამასთან, ნაშრომის ხელახლა ჩაბარების ვადებთან დაკავშირებით მაგისტრანტის საპრეტენზიო განცხადებაში აღნიშნულია, რომ რიგ შემთხვევაში 17 ივნისის ნაცვლად მაგისტრანტების მიერ მოხდა ნაშრომების 25 ივნისს ჩაბარება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს განმარტა, რომ მათ ვინც 17 ივნისს „Google-ის გლობალური პრობლემის გამო“ ვერ გამოგზავნეს (რაც დაწესებულებას შეეძლო დაედასტურებინა შესაბამისი წერილითაც, მაგრამ ჯგუფს დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებში წარმოსადგენად აღნიშნული მტკიცებულება არ მიუღია) ამ სტუდენტების მიერ ნაშრომის გამოგზავნა მოხდა 18 ივნისს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, ბტუ-ს მიერ განსაზღვრულია, რომ ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმების შემდგომ, სამაგისტრო ნაშრომისა (ელექტრონული - CD-ზე და ამობეჭდილი სახით) და ხელმძღვანელის საბოლოო დასკვნის (ამობეჭდილი სახით) ჩაბარება ხდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში.

გარდა ამისა, საპრეტენზიო განაცხადში ფიქსირდება ინფორმაცია მაგისტრანტის განაცხადზე პასუხის მომზადების დაგვიანებასთან დაკავშირებით, რაც არ დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით. კერძოდ, დაწესებულებამ დაიცვა განსაზღვრული ვადა და კანცელარიაში რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში (3 ივლისს) მოამზადა პასუხი, რომელსაც ითხოვდა მაგისტრანტი 29 ივნისს ელ-ფოსტის მეშვეობით მიწერილი წერილით.

დამატებით შესწავლილ იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში სააპელაციო განაცხადის ავტორის სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით შეტვირთული ბრძანებების ამონაწერი. აღნიშნული ამონაწერიდან ირკვევა, რომ რექტორის 2020 წლის 21 სექტემბრის ბრძანებით №02-70 სტუდენტს ჯერ შეუწყდა სტუდენტის სტატუსი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის საფუძველზე (მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის 7 ივლისს აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაგისტრანტს მიეცა გაფრთხილება და უფლება, რომ ახალი ნაშრომის მომზადება და წარდგენა მოხდეს მომდევნო სემესტრში); შემდგომ აღნიშნულ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება (რექტორის ბრძანება №02-73, 25.09.2020, აქტის ძალაში შესვლის თარიღი: 25.09.2020) და აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის საფუძველზე სტუდენტს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი,

თუმცა 2020 წლის 25 სექტემბრის რექტორის ბრძანება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახულ იქნა დაგვიანებით, კერძოდ 2020 წლის 2 ოქტომბერს, რაც არ არის შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად „პირის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი საფუძვლის მითითებით“ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში დაწესებულების მიერ შეტანილ უნდა იქნას აქტის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში (მუხლი 12). ამასთან, აღსანიშნავია, რომ სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება უსდ-ის რეესტრში აისახა ექსპერტთა მიერ დისტანციურად განხორციელებული ინტერვიუს შემდგომ. მაგისტრატურის დებულებით განსაზღვრულია როგორ ხდება სამაგისტრო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მობილობის საშუალებას, ასევე მოდიფიცირებამდე არსებული პროგრამით სწავლის დასრულების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეთავაზებული კვლევის დასრულების და ა.შ. შესაძლებლობებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • მაგისტრატურის დებულება • ეთიკისა და აკადემიური ეთიკის კოდექსი • სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი • ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის სამსახურეობრივი ბარათი • სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წინასწარი დასკვნა • სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სამსახურეობრივი ბარათი • სამაგისტრო ნაშრომი • აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №04-06, 07.07.2020 • შინაგანაწესი • უნივერსიტეტის ვებგვერდი • სტრუქტურული ერთეულებისა და მართვის ორგანოების დებულებები • უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრიდან ამონაწერი განმცხადებლის სტატუსის შესახებ
რეკომენდაციები: • უზრუნველყავით, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შემოწმების შემდგომ რეაგირების ნაწილში მათი ფუნქციები პრაქტიკულად იქნეს მკაფიოდ გამოჩენილი; ამასთანავე, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის მკაფიოდ იქნეს განმარტებული ფუნქცია-მოვალეობები მათ მიერ პლაგიატზე რეაგირებისა და გაკონტროლების ნაწილში; • უზრუნველყავით, რომ უსდ-ში დადგენილი რეგულაციის შესაბამისად და ვადების დაცვით შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომზე ხელმძღვანელის საბოლოო დასაბუთებული დასკვნა და აღნიშნული დასკვნა ხელმისაწვდომი იყოს მაგისტრანტებისთვის (მათ შორის სააპელაციო განაცხადის ავტორი მაგისტრანტისთვის); • უზრუნველყავით, რომ უსდ-ში დადგენილი რეგულაციის შესაბამისად შეიქმნას ნაშრომის შემსწავლელი კომისია და შესაბამის ოქმში დასაბუთებულ იქნას პლაგიატის გამოვლენის ფაქტი; • უზრუნველყავით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში შესატანი ინფორმაციის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ვადებში ასახვა.
რჩევები: • სასურველია. გაიზარდოს ანტიპლაგიატის პროგრამის მომხმარებელთა რაოდენობა და მისი გამოყენება ხდებოდეს სტუდენტებისა და პერსონალის/ნაშრომის ხელმძღვანელების მიერ. საჭიროებისამებრ, სასურველია, არსებობდეს სპეციალიზებული ტექნიკური ჯგუფი, რომელიც დაეხმარება პერსონალს თუ სტუდენტებს პროგრამის გამოყენებაში;

- გაკონტროლეთ, რომ სამაგისტრო ნაშრომის ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმების შემდგომ მაგისტრანტისა და ხელმძღვანელის ერთობლივი მუშაობით მოხდეს შემოწმების შედეგის განხილვა; - გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში მატერიალური სახით უნდა იქნეს წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი, სასურველია შეისწავლოთ სამაგისტრო ნაშრომების დაგვიანებით მიღების თაობაზე დასკვნაში გამოკვეთილი გარემოება და გაატაროთ შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები;
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. - უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
ბტუ-ში შიდა ხარისხის კონტროლი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთ ორგანოს წარმოადგენს. მისი ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი მონაწილეობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების კომისიური წესით გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის სადისციპლინო კომისიის მუშაობაში, რომელიც სტუდენტის მიმართ მიმდინარე დისციპლინურ წარმოებას განიხილავს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი მონაწილეობს იღებდა ასევე აკადემიური საბჭოს სხდომაში, (სხდომის ოქმი 04-06, 07/07/2020), როგორც დამსწრე პირი, სადაც განხილული იყო საბჭოსთვის წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობა აკადემიური ეთიკის სტანდარტთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს შიდა შეფასებას (თვითშეფასებას), გეგმიურად და არაგეგმიურად - დამატებით, უნივერსიტეტში შექმნილი ვითარების შესწავლის მიზნით. ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში წარედგინება აკადემიურ საბჭოსა და რექტორს. ანგარიში ემყარება იმ ინფორმაციის შეფასებას, რომელიც მიღებულია დაინტერესებული მხარეების აზრის შესწავლის, გამოკითხვის და/ან გასაუბრების შედეგად. დაინტერესებულ მხარეებს შეადგენენ ბტუ-ს პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, პარტნიორი დაწესებულებები. სამსახურის ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მონიტორინგი და შესწავლა, შეუსაბამოების აღმოჩენა და აღმოფხვრისათვის რეკომენდაციების შემუშავება. ანალიზს ექვემდებარება ძირითადი პროცესები, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებს; ასევე დამხმარე და მმართველობითი პროცესები. ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების ინსტრუმენტს წარმოადგენს PDCA ციკლი. ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მექანიზმია დაინტერესებულ მხარეთა, მათ შორის, სტუდენტების მოსაზრებების, მოლოდინებისა და კმაყოფილების შესწავლა, რაც ხორციელდება გასაუბრებით, გამოკითხვით ან ე.წ. „ნდობის ყუთის“ მეშვეობით. „ნდობის ყუთში“ სტუდენტებს შეუძლიათ ანონიმურად მოათავსონ თავიანთი საპრეტენზიო განაცხადები. ყუთი იხსნება თვეში ორჯერ, წარმოდგენილი წინადადებები და პრობლემები განიხილება ხარისხის უზრუნველყოფისა და შესაბამისი სამსახურის მიერ. საპრეტენზიო განაცხადები და საჩივრები მიიღება როგორც მატერიალური, ასევე ელ-ფოსტის სახით, და რეგისტრირდება კანცელარიაში, რის შემდეგაც განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. განცხადების მიღების შემდეგ შესაბამისი სამსახური ვალდებულია 3 დღის განმავლობაში წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წერილობითი განმარტება შეუსაბამოების მიზეზების და მის

აღმოსაფხვრელად მიღებული ზომების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში განაცხადი განიხილება იურიდიული სამსახურის მიერ. საბოლოოდ განაცხადი წარუდგება რექტორს. სისტემატური გამოკითხვა და კმაყოფილების კვლევა ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ბიბლიოთეკის მომსახურების, სასწავლო კურსების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების მიმართ. ხელმძღვანელების შეფასების დროს ფასდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის როლი ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ხელმძღვანელთან კონსულტაციების ფორმატი და სიხშირე, საჯარო დაცვის შეფასება, ადმინისტრაციის მხარდაჭერა ნაშრომზე მუშაობის პროცესში. 2018-19 სასწავლო წლის შეფასების შედეგების მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომლებიც შესრულდა მიმდინარე სასწავლო წელს. მათ შორის: ხელმძღვანელთა ტრენინგების ჩატარება სამაგისტრო ნაშრომის აკადემიური მხარის, ციტირების წესის, ანტიპლაგიატის პროგრამის გამოყენების შესახებ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკადემიური საბჭო სამაგისტრო პროგრამის მე-4 სემესტრის დაწყებამდე ამტკიცებს ნაშრომების თემებს და ხელმძღვანელობის კანდიდატებს. მაგისტრანტს შეუძლია შემოთავაზებული თემებიდან აირჩიოს ან აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლად მისთვის საინტერესო კვლევის თემა; ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალიდან ერთ-ერთ წევრი იყო 10 მაგისტრანტის ხელმძღვანელი, რაც ექვემდებარება ამ დატვირთვის პირობებში ეფექტიანად ხელმძღვანელობის საკითხს. ექსპერტთა ჯგუფის ხელთ არსებულ შესწავლილ დოკუმენტაციაში არ ფიქსირდება ინფორმაცია, რამდენ სამაგისტრო ნაშრომს შეიძლება ერთდროულად უხელმძღვანელოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შინაგანაწესი • აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #04-06 (07/07/2020) • ხარისხის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტიანობის შეფასება • სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასება • ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები • ინტერვიუების შედეგები • სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, პერსონალის გამოკითხვის შედეგები
რეკომენდაციები: • დაადგინეთ გონივრული ლიმიტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა ერთდროულად რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ეთიკისა და აკადემიური ეთიკის კოდექსი, რომელიც განთავსებულია ბტუ-ს ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ინფორმაციის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის მიზნით სტუდენტის ხელშეკრულებას თან ერთვის სტუდენტის ეთიკის კოდექსიც. კოდექსში განსაზღვრება აკადემიური თავისუფლების პრინციპები, ბტუ-ს ინტელექტუალური საკუთრების უფლება, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები, მათ შორის პედაგოგებისა და სტუდენტთა აკადემიური ეთიკა, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დარღვევის შესწავლა და აკადემიური ეთიკის კომისიის მუშაობის რეგულაციები.

კერძოდ, კოდექსში განსაზღვრულია, სხვა ნორმებთან ერთად, სამაგისტრო ან სხვა კვლევით ნაშრომზე მუშაობის დროს ხელმძღვანელის ვალდებულება, სტუდენტს აუხსნას წყაროებთან მუშაობის, ციტირების და სხვათა ნაშრომების გამოყენების წესი და ამ წესების დარღვევისათვის არსებული სანქციები; თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ განმცხადებელს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომის ხელმძღვანელთან არ ჰქონია კომუნიკაცია.

პლაგიატის ან მონაცემთა გაყალბების შემთხვევაში განსაზღვრულია ნაშრომის შემსწავლელი კომისიის საქმიანობის პრინციპები და შესაძლო დასკვნები. ასევე, განსაზღვრულია ნაშრომის ავტორის უფლება, თუ ის არ ეთანხმება კომისიის დასკვნას, გაასაჩივროს დასკვნა მისი გაცნობიდან 5 სამუშაო დღეში უნივერსიტეტში განცხადებების/საჩივრების წარდგენისათვის დადგენილი წესის მიხედვით; წერილობითი სააპელაციო განცხადებით მიმართოს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს (რექტორს), მოითხოვოს საკითხის განხილვა. კოდექსის მიხედვით, აკადემიური კეთილსინდისიერების დადასტურებული დარღვევა იწვევს დისციპლინურ სანქციას.

უნივერსიტეტში ასევე შესაძლებელია შეიქმნას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის შემსწავლელი კომისია, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ქმნის აკადემიური საბჭო და შედგება განსახილველი საკითხის შესაბამის სფეროში კომპეტენტური პირებისგან.

ბტუ-ს შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტებისა და პერსონალის უფლება-მოვალეობები, ქცევის (მათ შორის გამოცდაზე/დაცვაზე ქცევის) და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები და სხვა. ბტუ უზრუნველყოფს შინაგანაწესის ხელმისაწვდომობას, მათ შორის ვებგვერდის მეშვეობით. დისციპლინური დარღვევის ფაქტს იკვლევს სადისციპლინო კომისია, რომლის შემადგენლობაში ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, იურიდიული სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსები და ა.შ) შედიან ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტიც და საჭიროებისამებრ, შესაძლებელია სხვა წევრის დამატებაც.

პლაგიატზე სამაგისტრო ნაშრომის შემოწმებისათვის უნივერსიტეტი იყენებს ანტიპლაგიატის პროგრამას Turnitin, რომელიც ადგენს გამოყენებული წყაროების მიმართ მსგავსების პროცენტს. პლაგიატის დადგენა ხდება ნაშრომის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი ხელმძღვანელის საბოლოო დასკვნითა და რეცენზენტის დასკვნით, თუმცა აღნიშნული დასკვნების ხელთ არარსებობის გამო ჭირს შეფასება, რამდენად ხდება აღნიშნული პრაქტიკის გამოყენება (იხ. ქვესტანდარტი 2.1).

სტუდენტს საშუალება ეძლევა, ანტიპლაგიატის პროგრამით შეამოწმოს ნაშრომი რამდენჯერმე, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დადგენილ ვადაში (მე-16-17 კვირა). სამაგისტრო ნაშრომის შემოწმება ხდება ადმინისტრაციული პერსონალის მიერ და არა თავად სტუდენტის ან აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ, რაც ინტერვიუს დროს განმარტებულ იქნა იმით, რომ ანტიპლაგიატის პროგრამის ტექნიკურად მართვა არ არის მარტივი. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრულია, რომ შემოწმების შედეგები ეცნობება სტუდენტს და მის ხელმძღვანელს. მოცემულ შემთხვევაში მომჩივან მაგისტრანტს უნივერსიტეტის ოფიციალური ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა სამაგისტრო ნაშრომის შემოწმების შედეგები, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შემთხვევაში იგივე არ დასტურდება.

აკადემიური ეთიკის საკითხები დეტალურადაა განხილული ასევე სამაგისტრო ნაშრომის მომზადების სახელმძღვანელოში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სახელმძღვანელო განმარტავს პლაგიატის რაობას, პლაგიატის დადგენის შემთხვევაში დაწესებულ სანქციებს, პლაგიატისთვის თავის არიდების წესებს, ისევე, როგორც გაყალბებული მონაცემების გამოყენების შემთხვევებსა და შესაბამის შეფასებას.

ეთიკისა და აკადემიური ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია, რომ დაუშვებელია სამაგისტრო ნაშრომში ტექსტების იდენტურობა აღემატებოდეს 10-12%-ს. აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსა და სახელმძღვანელოში არ არის მითითებული სამაგისტრო ნაშრომში ანტიპლაგიატის პროგრამით შემოწმების შემდეგ დასაშვები მსგავსებების მაქსიმალური პროცენტი, რაც შესაძლოა პლაგიატის დადასტურების დროს სტუდენტისათვის ბუნდოვანების საფუძველი გახდეს. დისციპლინული გადაცდომებისა და აკადემიური არაკეთილსინდისიერების (განსაკუთრებით პლაგიატის) თავიდან აცილებისა და ინფორმირების მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს: აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით დოკუმენტების ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას (გამოქვეყნებულია ვებგვერდზე); პლაგიატთან და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდის მიზნით, კვლევითი ცენტრის, ფაკულტეტისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლები მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს შეხვედრებს/ტრენინგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსი • დაწესებულების არგუმენტაცია • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი • სამაგისტრო ნაშრომების შექმნის სახელმძღვანელო • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: • უზრუნველყავით უკვე შემუშავებული პლაგიატზე რეაგირების შესაბამისი მექანიზმების პრაქტიკაში სრულად დანერგვა
რჩევები: • სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსა და სამაგისტრო ნაშრომების შექმნის სახელმძღვანელოშიც ჩაიწეროს ინფორმაცია ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების შედეგად დაშვებული მსგავსებების პროცენტის ზღვრული ოდენობის შესახებ • ნაშრომების ანტიპლაგიატის პროგრამაში შემოწმების პროცესის ეფექტიანად მართვის მიზნით, სასურველია, ნაშრომების შემოწმების რეჟიმი გახდეს ავტომატური (მაგალითად, პლაგიატის ამოცნობის პროგრამის ინტეგრირება სწავლის მართვის სისტემაში....)
შეფასება: მოწინააღმდეგეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუმჯობესების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

